საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2013 წლის 13 ნოემბრის
დადგენილება №998

“2013 წლის ახალგაზრდა მეცნიერის” კონკურსის ჩატარების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

I. 2013 წლის საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერის გამოვლენის მიზნით, გამოცხადდეს კონკურსი - “2013 წლის ახალგაზრდა მეცნიერი”;

II. კონკურსში მონაწილეობის უფლება მიეცეთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის სწავლების 35 წლამდე ასაკის სტუდენტებს;

III. კონკურსის ჩატარების ვადები განისაზღვროს 2014 წლის 15 იანვრიდან 2014 წლის 20 თებერვლამდე;

IV. კონკურსის გამარჯვებულის და ასევე II და III ადგილებზე გასული კონკურსანტების გამოვლენა მოხდეს 2013 წლის განმავლობაში მათი სამეცნიერო მიღწევების, წარმატებების და აქტივობის გათვალისწინებით (სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა; სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნება ქართულ და უცხოურ გამოცემებში; სამეცნიერო კონფერენციებში, კონკურსებში, სიმპოზიუმებში მონაწილეობა და/ან გამარჯვება და სხვ.);

V. კონკურსში გამარჯვებულ - პირველ ადგილზე გასულ დოქტორანტს - დაუფინანსდეს 1 სრული აკადემიური წლის სწავლის საფასური და გადაეცეს “2013 წლის ახალგაზრდა მეცნიერის” სპეციალური დიპლომი;

VI. კონკურსის შედეგების მიხედვით მეორე ადგილზე გასულ დოქტორანტს დაუფინანსდეს 1 აკადემიური სასწავლო სემესტრის სწავლის საფასური სრულად;

VII. კონკურსის შედეგების მიხედვით მესამე ადგილზე გასულ დოქტორანტს დაუფინანსდეს 1 აკადემიური წლის სწავლის საფასურის მესამედი ნაწილი;

VIII. კონკურსის გამარჯვებულთა გამოვლენის მიზნით შეიქმნას საუნივერსიტეტო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. არჩილ ფრანგიშვილი (სტუ-ს რექტორი) – კომისიის თავმჯდომარე;
2. ზურაბ გასიტაშვილი (სტუ-ს რექტორის მოადგილე მეცნიერების დარგში) – კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
3. გიორგი ძიძიგური (სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი) – კომისიის წევრი;

4. დავით თავხელიძე (სტუ-ს მეცნიერების დეპარტამენტის უფროსი) – კომისიის წევრი;
5. ბორის გითოლენდია (სტუ-ს სოციალურ საკითხთა, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტის უფროსი) – კომისიის მდივანი.

IX. ფაკულტეტების დეკანებმა უზრუნველყონ დოქტორანტთა ინფორმირება კონკურსის ჩატარების პირობებისა და ვადების შესახებ.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე	ა. ფრანგიშვილი
აკადემიური საბჭოს მდივანი	გ. სალუქვაძე